


1906 14 თებერვალი 1916 წ.

რედაქციის აღრენი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ფასი 12 კაპ.

# მარტინაშვილი № 7

იუმორისგან  
უურნალი




## ქართული საქმე.

ქართულ საქმეს რო დაიწყებ  
გაიხელავ...  
უცებ ხათა!!  
საცა იყოს და არ იყოს  
გამოხტება  
შავი კატა.  
კუდს გამოჰკრავს და რამდენიც  
არ უძახო:  
—აცხა! აცხა!!

არ დასტოებს თუ ის საქმე  
საგრძნობლად  
არ დაამარცხა.  
ეს ამბავი გამახსენა  
მე კავშირმა  
კახეთისამ...  
იქაც საქმე სასარგებლო  
ფაამიარცხა  
შავმა ციცამ.  
შავმა კატამ გაირბინა  
თელავსა და  
სიღწალ შორის

და რამეთუ ხასიათი  
ქართველ კაცა  
დასდევს ჯორის,  
გაჯიუტდა ისიც, ესეც...  
კატა უფრო  
დატრიალდა  
და კავშირი, საქმე კარგი  
გავვიოხრდა,  
გატიალდა.

ეშმაკი.



## მარცხი.

ჩემი თავის ფასი დიალ ვიცნდი და „საღამო-ში“ მონაწილეობა რომ მთხოვეს, სწორეთ ისე მოვიქეცი, როგორც ყოველსავე სახელ განთქმულ მწერალს შეპოვერის.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უარი უნდა მოგახსნოთ: არამც და არამც თქვენს „საღამო-ში“ მონაწილეობა არ შემიძლიან, — გადაჭრით ვუპასუხ შე ჩემთან გამოგზავნილ დეპუტატს და სახეში მივაჩრდი: მინდოდა დავმტკბარიყავ იმ ელდანაცემ გამომეტყველებით, რომელსაც ჩემი უარი გამოიწვევდა.

დეპუტატის სახე არც ისეთი მოძრავი აღმოჩნდა, როგორც მე მოველოდი და სულაც არ დაეტყო ცელილება. აღნათ, წინდაწინვე მოელოს და ჩემ უარის.

— ამისდა გვარათ თქვენ გვაიძულებთ ჩენი პროგრამის საუკეთესო ნომერი ამოვშალოთ და მთელი „საღამო“ დავამახინჯოთ. ამას არ მოველოდით თქვენგან, ბ. თაგუნა! — საყველურით მითხადა მან.

— როგორ თუ საუკეთესო ნომერი? — განგებ ჩავკითხე მე.

— თქვენი ნაზისა და მევეთრი იუმორის იმედი გვქონდა, ბ-ნო! თქვენ უნდა დაგემშვენებინათ

ჩენი „საღამო“... მარტო თქვენი გულისფერის რამდენი კაცი და ქალი დაესწრებოდა... ახლა კი... ნუ ინებებთ, ბ. თაგუნა, ნუ გვიტყვით უარს, თუ ღმისროთი გწამდეთ!

„არასოდეს ნაჩქარევათ არ უნდა შეადგინო აზრი რომელსამე ადამიანზე, — ვფიქრობდი მე, დეპუტატის გულწრფელათ ნათქვამ სიტყვებს რომ ვისმენდი. „აი ეს ყმაწვლი: როგორი სიმატიური სახისაა ამ წუთში, რა წრფელი და ბუნებრივი კი-ლო აქვს მის ლაპარაკს... მე კი მაგას აღმაცერათ ვუპერილი, სხვების ფეხის ხმას ავყვე და მეტიჩარა კაცათ მყავდა წარმოდგენილი“...

მაინცა და მაინც ასე უცემ თანხმობის თქმა არ შეიძლებოდა.

— მე მესმის ყველა ეს, ჩემი ბატონო, მაგრამ რა გაეწყობა, რომ მაინც უარი უნდა მოგახსნოთ, — ვუთხარი მე.

— მიზეზი?

— მიზეზი ათასი და, სამწუხაროთ, ყველა მეტის მეტათ პატივსადები: ერთი რომ ჩენი უურნალის მორიგი ნომერი უნდა შევადგინო და ორი საკუთარი წერილიც დავწერო; მეორე — კარიკატურები და შარები უნდა დავამზადო იმავ უურნალისათვის; მესამე — „აზრის“ რედაქტირი მთხოვთა და ამ კვირისათვის „პატარა ფელეტონი“ უნდა დავუწერო; მეოთხე — ერთი კომედიის წერა დავიწყე — ძლიერ თავი მოვუყარე ტვინში ერთი წლის ნაფიქრს — და რომ შეგწყვიტო შემოქმედების ძაფიც გამიწყდება და, თქვენ ხომ მოგწესენებათ, რას ნიშნავს მწერლისათვის შემოქმედების ძაფის გაწყვეტა?..

თუმცა არც უურნალის ნომერი მქონდა შესადგენი, („ეშმაკი“ ადგენს ხოლმე) არც უნდა დამეწერა რამ (მასალა არა მქონდა და თან ჩემულებისამებრ მეზარებოდა კიდევ), არც „აზრს“ უთხოვთ რისამე დაწერა (პირიქით: ბარე სამი ფელეტონი შექვეს გაგზავნილი და არ მიმდიდავენ), კომედია ხომ არც კი დამსიმრებია, მაგრამ, ღმერთს გეფიცებით, მე მაშინ არა ვტყუოდი; იმ წუთში დარწმუნებული ვიყავ რომ ყველა ის საქმე, შე რომ მოვიმიზებ, მართლაც ჩემი გასაკეთებელი იყო; ეს მე გულწრფელათ მჯეროდა...

დეპუტატის სახეზე უაღრესი პატივისცემისა და განცვიფრების გამომეტყველება აღიბეჭდა.

— ბ. თაგუნა, — დაიწყო მან მორიდებით: ნუთუ გგონიათ, რომ მე არ მესმის თქვენი მდგო-

მარეობა... თქვენთვის ყოველი წუთი ძვირფასია— ეს ჩეგნც კარგი ვიცით—და თუ მაინც გაწუხებთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამას აუკილებლობა გვაიძულებს... უთქვენოთ ჩეგნი „სალამი“ არატრათ ივარგებს... რაც შეეხება თქვენი შრომის დაფასებას, ე. ი. გასამრჯელოს... ანუ, უკეთ რომ ვთქვათ... პონორარს (იქ დეპუტატი საშინლათ დაიბრნა და ჭარხალივით გაწითლდა), დამიჯერეთ, „სალამის“ გამართველები არც ისე უმაღურები და შეუგნებლები არიან, რომ...

— უმორჩილესათ გთხოვთ, პონორარზე ლაპარაკი აღარ განაგრძოთ,—გავაწყვეტინ მე:—ჩემი პრინციპი ყველასათვის ცნობილია: საქველმოქმედო „სალამიში“ მონაწილეობისათვის სასყიდელ არასოდეს არ ავიღებ...

ნახევარ საათზე მეტს გაგრძელდა ჩეგნი ლაპარაკი და ბოლოს იძულებული გავხდი თანხმობა გამეცხადებია.

ჩემმა დეპუტატმა აღფრთოვანებული მაღლობა მითხრა, მაგრათ ჩამომართვა ორივე ხელი და წავიდა.

დეპუტატი რომ გავაცილე და დავბრუნდე, თოახში ჩემი ცოლი დამიხედა.

— ვინ იყო ის კაცი?—მკითხა მან.

— განა ვერ იცნობ? ეგ არის ტარიელ ცანცარაშვილი... მშვენიერი ყმაწვილია... ნაკითხი, ზრდილობინი და სალიტერატურო გემოვნების კაცი,—ვუპასუხე მე.

— რა უნდოდა?

— არაფრი... წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ „სალამი“ იმართება და მონაწილეობის მიღება მთხოვა.

— როგორ?.. შენ გთხოვა მონაწილეობის მიღება... ღმერთო ჩემო! მერე ეგრე გულგრილათ მეუბნები? ეგ ხომ იმას ნიშნავს, რომ შენ შეგამნიერ, დაგავასეს!.. რა უნდა წაიკითხო? როდის არის „სალამი“?

ისეთი აღტაცებითაა და სხაპასხუპით მომაყარა სიტყვები, რომ მეც ამიყოლია და სავსებით გავიზიარე იმისი სიხარული.

თვალშინ დამიდგა კარზე მომდგარი დიდების სურათი. განათებული დარბაზი... ხალხის ტევა არ არის... ყველას მოუთმენლობა ეტყობა, „თაგუნა, თაგუნა, თაგუნა“, — გაისმის ყველგან... აი ფარდაც თხადა. გმოვედი... ტაშის გრილმა შეარყია ჰაერი. მე დაბლათ თავს ვუკრავ ხალხს და ვუცდი

დაწყინარებას... ვიწყებ... პირველი სიტყვისთანავე დარბაზში ხარხარი გაისმის, მოსწრებული ოხუნჯობისაგან გამოწვეული შეუკავებელი ხარხარი, და სხვა...

თემა იმავე დღეს მზათ მქონდა და მეორე დილიდან წერას შევუდექი, ჩემი ბინა წმინდა ტაძარს დაემსგავსა. იმ გვარი მყუდროობა და დუმილი, როგორც იმ დღეებში სუფევდა ჩემს ბინაზე, მხოლოდ ტაძარში თუა შესაძლებელი. დაწყებული ჩემ მოხუცებულ დედმამისაგან ვიღრე უმცროს მ წლის ვაჟამდე ცყველანი უხმო აჩრდილებივით დადიოდენ სახლში, ფეხ აკრეფით, ცერებზე, და შიშითა და მორიდებით მიცეროდენ წარბ-ქევშიდან.

— როგორ მიღის საქმე?—ჩურჩულით მკითხავდა ხოლმე სალამოობით, წერას რომ მოვრჩებოდი, ცოლი.

— ბევრი დასწერე, შეილო?—მეკითხებოდა ხმა ამოუღებლივ, მხელთ ტუჩების მოძრაობით, მამაჩემი.

— ხომ არ გიშლით, მამი? ჩამილაპარაკებდა კრძალვით უფროსი ქალი.

— ლოდის მოლცები წელაობას, მამილო?— აკანკალებული ხმით ჩამეძიებოდა უმცროსი ვაჟა.

მე კი, შემოქმედების ბურუსში გახვეული და ამ სოფელს განშორებული, ისე ვუყურებდი მათ, როგორც ხელოვნების ჭეშმარიტ ქურუს შექვერის და ხშირათ სულაც არ ვუპასუხებდი ხოლმე კითხვაზე...

5 დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობაში გაფატარე და მეექსე დღეს, როგორც იყო მოვრჩი. ეს დღე საუკეთესო დღე იყო მთელ ჩემ ცხოვრებაში. ჩემს სახლში ნამდვილი დღესასწაული გაჩაღდა. მთელ ჩემ ჯალაბობას მოვუყარე თავი და წევუდექი ჩემი ნაწარმოების კითხვას. იმ შთაბეჭდილების აღწერა, ჩემმა იუმორისტულმა ესკიზმა რომ მათზე მოახდინა, ყოვლად შეუძლებელია. ეს იყო რაღაც სტიქიონური ხარხარი, ძლიერი და გაუწყინარებელი, რომლის მსგავსი არსალ გამიგონია, არასოდეს.


ხარხარებდა ბოხის ხმით მამაჩემი, იცინდა გიუივით დედაჩემი, კისკისებდენ და ფერდებზე ხელს იპერდენ ჩემი ცოლი და უფროსი ქალ-ვაჟი, ისა ტაკზე გორაობდა ხარხარისაგან ღონე მიხდილი ჩემი ძმა, ცახცახებდა და სიცილის ცრემლებს ლერი-და ჩეგნი მზარეული დედაკაცი, ასე გეგონებოდა, კედლები, იატაკი და ჭერიც მონაწილეობას იღებენ ამ საერთო თავაშვებულ ხარხარშით.

მეზობლის ბინიდან კაცი გამოგვიგზანეს, დიასახლისს გული წასლოდა ჩვენებიანთ ხარხარისა-გან და გვთხოვდენ თუ შეიძლებოდეს შესწყვიტე-თო.

ერთი სიტყვით ჩემი ნაწარმოები ჩანებული გამოდგა. მე დავინიშნე ჟყველა ის ადგილები, საცა მაყურებელთა განსაკუთრებით ძლიერი ხარხი იყო მოსალოდნელი და გადავწყვიტე ასეთ ადგი-ლებზე კარგა დიდი პაუზა გამეკეთებინა ხოლმე, რათა ხალხი ოდნავ მაინც დაწყნარებულიყო...

#### თაგუნა

(დასასრული იქნება)



## ჭარბალე

სიტყვა მოენახოთ ისეთი,  
თვალით არ ინახებოდეს...  
აღი არ ჰქონდეს ხილული,  
გზას მაინც ინათებოდეს.

„საქართველოში“ არა სჩანს,  
ვეკვობ „სახალხოდ“ მნახველთა...  
იმისი მოხაზულობა  
შერჩა მესამე დასელთა.

სახელი ჩინებულია,  
განდი ხომ უფრო ხასიათი...  
თუმც არ გვტირია მეოთხე,  
ბოლო ანბანი ამისი.

ის უნდა მოვსჭრათ უთუოდ...  
აქ ყოყმანობა მეტია...  
ესრედ მოჰკვდების ყოველი,  
ვინც ბელის განამეტია.

აწ სიტყვა გვინდა მეორე,  
სამ ანბან გამომსახველი  
უწვავ-უხარშავ კოშბოსტოს  
რო ეწოდება სახელი.

გარნა თუ მარტო კომბოსტო,  
ან ხახვი, ან თუ ჭარხალი...

მიისაკუთრებს ამ სიტყვას  
კაციც ბრიყვანი და „ნახალი“.  
თუ იგი, ჯერეთ რეგვენი,  
რა შეუშრობი სახედა  
ძალას დაატან გონებას  
და ორატორობს მკვახედა.

ეგ ორი მოკლე სახელი  
შეაკარშირეთ ძმურადა  
და თქვენ ქალაქის სახელი  
ჩაგიშვეთებათ ყურადა.

იგი სახელი ამ ქამად  
ქვეყანას აკრაგს პირზედა;  
ვის გულს სიამით აღავსებს,  
ვის ჭირს უმატებს ჭირზედა.  
იცანით?

ვერა?

რა მოხდა?

აქ არა ნეტავ ასეთი,  
თუ კი გინახავთ ქარტაზე  
ოსმალეთი და სპარსეთი?

კოლო.

## აწ განუტევე მეუფეო!

ყოველთვის, როცა ჩვენი სოც.-ფედერალი-სტები თავისს სიმამაცე-გაბედულებას, დევნა-შე-ვიწროებასა და ტანჯვა-წამებაზე ჩამოაგდებდნენ სი-ტყვას,

მე ჩუმათ, ჩემთვის, ჩამეცინებოდა ხოლმე.

რავენა, ასეთი ხასიათი მოუკია განგებას ჩემ-თვის!...

მოვკრავ ყურს თუ არა მათ ამგვარ წუწუნს, მაშინვე ჩემდა უნებლიერ ჩამეცინება.

არასოდეს არ შევეითხებიგარ ჩემს თავს, თუ რისთვის მეცინება ხოლმე, იმდენათ ბუნებრივი და ძალ-დაუტანებელია ეს სიცილი.

ახლა?

ახლა გარემოება ერთბაშად შეიცვალა! ეს უკ-ვე იმდენათ აშეარაა, რომ შეუძლებელია მეც არ დავნახო.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ სოც.-ფედე-რალისტებს მართლა სდევნიან, როგორც „სოცია-ლურ“ (?) მიმართულების ხალხს და სდევნიან არა პოლიტიკურ ასპარეზზე, არამედ სამეურნეო დარგ-

შიცა. სდევნიან მათვისს ყველაზე უფრო საგრძნობ სფეროში.

ეს გამოირკვა მოშმარებელ საზოგადოების „მეურნის“ კრებაზე და გამოარკვია თ-მა მ. ჭავჭავაძემ. იმან განაცხადა:

„ახლავე ვაფრთხილებ კრებას, სოციალური (?) მიმართულების ხალხი არ იირჩიოს გამგეობაში, თორემ საქმე ცუდად წავი. ახალ კლუბს გავაუქმევ ბინებ თავისს დადგენილებას და არცერთ კაპეიკს არ მივაცემინებ ამ საზოგადოებისთვის. ვეტერი საადგილ-მამულო კომისიის, რომ ერთი კაპეიკი არ მისცეს „მეურნის“ საზოგადოებას და სხვა\*)“.

აი ბატონებო უტყუარი ფაქტი ფაქტი მომხდარი 7 თებერვალს ახალი კლუბის დარბაზში. თვალი ჭავჭავაძის რისხვა უმთავრესად სოც.-ფედერალისტ თედორე ღლონტს, ქ. ქავთარაძეს, ივ. ბალიშვილსა და ს. დაღიანს დაატყდათ თავს. დაბოლოს, როგორც ყოველთვის, სოც.-ფედერალისტებმა გაიმარჯვეს და „მეურნის“ გამგეობას ეყოლება ისეთი ბუხვალტერი, როგორიც თედორე ღლონტია, მაგრამ ჩვენთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ჩემთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ისტორიულ შემთხვევას, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკე.

ჩემთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საქართველოში გამოინდა კაცი (არა სოციალისტ-ფედერალისტი) რომელმაც „სოციალისტ-ფედერალისტს გულწრფელად შესწამა სოციალისტობა.

ეს კაცი გახლავთ ახალი კლუბის მამასახლისთა მამასახლისი თავ. მ. ჭავჭავაძე. აჲ, ნეტავ პირადათ ვიცნობდე მას და მილაპარაკე მასთან. მე მგონია ეს რაღაც სულ სხვანაირი ქართველი კაცი იქნება, ან მაღალ-მაღალი და წვრილი, ან დაბალ-დაბალი და მსხვილი, ან კიდევ საშვალო. ის „სოციალისტობაზე“ ძლიერ ცუდი აზრისა უნდა იყოს, რომ ჩვენებური ფედერალისტებიც იმათ რიცხვს მიაკუთვნა.

ასეა, თუ ისე სოც.-ფედერალისტებმა უკვე დაიდგეს თავს დევნის გვირგვინი და დაიდგეს როგორც „სოციალისტებმა“. თედორე ღლონტი დღემდეც აბეზარ ყვინჩილასავით ყოყოჩიბდა „მისი პარტიის“ მიმართ რეპრესიებით და ახლა, 7

თებერვლის შემდეგ ვინა გაუძლებს მათ მედიდურობას?

მაში, განუტევე შეუფერო მონა შენი, რამეთუ ღლონტი იგი თევდორე არღა მისცემს მას მოსვენებასა, ამინ.

ეშმაკი.

## პ ა ს უ ხ ი

(რაჭებულ ინტელაგენტებისა.)

ხალხის უცნობ-უცხოსა  
„მუონარეს და უფხოსა“  
გვიწოდებენ ხშირად.  
სოფლად ჩვენსა მხნეობას  
შრომა მოღვაწეობას  
გვიფასებენ ჩირადა.

აქაო და იმათო  
ღრმა ძილითა სძინავთო  
სასო წარკვეთილიო  
ურთ-ერთს მტრულად უბლვერენ  
და საქმეს კი უცქერენ —  
გულ-ხელ დაკრეფილიო.

ვინც რომ კარგად არ გვიცნობს  
ის ჩვენ არ თანაგვიგრძნობს  
მიტომ რომ არ სმენია  
სოფლელთ შორის შხე შრომა  
ფხიზელ დარაჯათ დგომა  
და სიმტკიცე ჩვენია:

ჩვენ ვართ ხალხის კანდელი,  
მისი თაფლის სანთელი  
და ვუნათებთ წყვდიადსა;  
ვხვდებით მისსა ზრახვესა  
მისსა სულის სწრაფება  
და მისსა ხვაშიადსა.

ჩვენ ვპირდებით მას სსნასა  
და ვუჩერებით სწორ გზასა  
გვსურს მშათი შველანი,  
ქირსა და ლხინს მისასა  
როგორც ღვიძლი მმისასა  
ვიზიარებთ ყველანი.

\*) „ხახალხო ფურცელი“ № 488

ქელებს სადაც მოვკრავთ უურს  
არ ვიშურებთ სამსახურს  
იქ გაფრინდებით ხელადა..

ჩვენ ვალის მოსახლელად  
და სამძმრის სათქმელად.  
(კოტაც საცოხნელადა).

აგრეთვე არ ვაკლდებით  
სადაც კი წავაწყდებით  
ნათლობას და ქორწილებს  
იქ ჩვენ საცსე ჭიქებით  
და გრძელ-გრძელი სიტყვებით  
ვამსხვრევთ ჩაგრულთ ბორკილებს.

სმაში ვართ გამოცდილი,  
გვიყვარს ყანწი მოზრდილი  
ვით ნამდვილი ლოთია  
და არც მაშინ შევდრკებით  
თუნდაც გვასხან ვეღრებით  
ვით ძველი კოლოტია

ჩხუბში ხუთი გვერგება  
ის ძლიერ გვეხერხება  
მასში არ გვყავს ტოლია,  
თან თამაშის, კარტისა  
კამათლის და ნარდისა  
ჩვენ გვაქვს მონოპოლია.

არ გვიყვარს ჩვენ არც ერთი  
უურნალი და გაზეთი,  
არც წიგნები ძალიან,  
ღვინო გვახსოვს ყოველთვის  
გული მხოლოდ მას ელტვის  
კითხვისთვის არ გვცალიან.

და ყველანი ერთობით,  
ასეთ საქით ვერთობით  
შეგობრულად ძმურათა  
უსირცხვილოდ სტყუის ის  
ვინც ერთგული მოძმე ძმის  
მტრებად დაგვასურათა.

აწ თვით მიხვდეს მკითხველი  
(სწორი და პირუთვნელი)  
ვინ სტყუა და ვინ არა

და დაე სთქვას გულ-ახდით:  
ნუ თუ მართლა ჩვენ გავხდით  
ზარმაცუ და მძინარა?

კვახი.

## კირაკოზას წერილი ცოლთან

(მიწერილი გრძანიდან)

მოი ზალატოი ი სოლცენევიდანი\*) აიკანუშ!  
ცალუიუ ტებე ტებერდო ი კრეპკო. უვი ნა დედა-  
მიწის ზურგ ღოლვი ვრემია, შტობი რაღოვალ  
მოი პერეუგანი\*\*) სერცა! ტი სამ ხარაშო ზნაიშ,  
შტო ია ბეზ ტებე უიტ ნი მაგუ, მაგრამ რას იზამ,  
ჩემი ბრალი ხომ არ არის!

ვინც ჩვენი სეიაზი და სბლიერენია მოს-  
პო. მერე რა გემოზე მოწყობილი სპალნა, რა  
სობსტვენი კრავატები! აფსუსი არ არის რომ მე  
აქ სკატინასავით თივაში ვგორაობდე და ჩემი ბუმ-  
ბულის ღოშაკი და კუკლასავით კრავატი ბეზდეის-  
ტვიაში იყოს! გოგო, შე რაზბონიკო, შენ მაინც  
გაგორდი ხოლმე ხან და ხან რომ ლოგინმა უპატ-  
რონბა არ შიატყოს. ვიცი ჩემს ამბავს იკითხავ,  
მაგრამ რა გითხრა და რა მოგწერო! განა ქვეყანას  
ზე იმდენი პერო და ჩერნილა იქნება, რომ ჩემი  
ნესჩასტიების აპისანია გააკეთოს! ტი სპასიბა სკაუ  
ბოლუ ი დლინი სვეჩკი პასტავ ფეთხაინუ, შტო  
ია უი.

აბა, დუშა, ვიწყობ ჩემი ნესჩასტიების ამბავს  
და არ კი შაგეშინდეს აი მაგრათ იყავი. ეშანდ  
შიშით მუცელი არ წაგიხდეს და არ დამლუპო კა-  
ცი. სიკვდილის პირზე რომ მივიდოდი ხოლმე მა-  
შინვე შენ მაგონდებოდი. ვამობდი: მე ვკვდები,  
მაგრამ ჩემი აიკანუშა იმისთანა ნასლედნიქს გამოს  
მიგორებს მეთქი, რომ ჩემი სახელი მთელ ძალის  
უბანში დაუვიწყარი იქნება მეთქი... პო, იმას ვა-  
მობდი. ქალაქიდან პირდაპირ პეტრებუხში ჩამამი-  
ყვანეს და ლეტაიუჩი ბათალიონში ჩამინშენეს, აერო-  
პლანწყვის როტაში რაღა! აეროპლანწყვის როტა  
რომ გავიგე, შიშით ისეთი ბლედი ცვეტი დამედო  
პირისახეზე, რომ გეგონებოდა ხოჯავანქის სასაფ-  
ლაოდან ამოუძვრიათო. ვა, შუტკა შტოლი! იქი-  
დან რომ გადმოვვარდე ვინ იცის ხარის ფაშივით

\*) მზეთუნახავი.

\*\*) დახრუკული.

გავსქლე. ვეებნები: გოსპოდინ კამანდირ ია ნაზემლი კაკ ინდაურ ხოდომ, კაკ ია მაგუ ნა ვოჩდუს ლეტაიტ მეთქი! დამიყვირა: „ნი ტვოი დელაო“. გაეტუმდი რაღას ვიზამდი. აიკანუშ, განაშენ არ იკა ჩემი ფეხების ამბავი! გახსოვს ერთხელ მე და შენ კიბეზე რომ ჩამოვდიოდით ბოზბაშის ქვაბით! ფეხი რომ წამიბორძიკდა და დაგეტაკე, მთელი ქვები ბოზბაში რომ თავზე გადავისხი! მოდი ეხლა შენ და ამ ფეხების პატრონშა ვოზტუხში ფრენა დაიწყე! ერთიც ვნახოთ გამოაგორეს რაღაცა პარავოზივით და მითხრეს: „უნდა ჩაჯდე შიგაო, მტრეს რომ დავინახავთ ყუშბარები უნდა დავაყაროთ ზეგიდანაო“. გაავსეს მთელი პაროპლანი. ყუშბარებით და ჩაგსხდით შიგ. დავჯექი და როგორც ხუთ ვერშოკიანი ლურსმით დაკრული, ისე ვარ ერთ ადგიოს დაწებებული. განძრევის მეშინიან რაღა! გავინძრე, ვაი თუ ძირს ტყაპანი მოვადინო, არა და სლუჩინათ ყუშბარას გავეხახუნო და აფეთქდეს ეს ხომ სულ უარესი ნესხასტია იქნება! რა ცეცხლ შეა ვარ რაღა! არ ვიცი როდის მოვა მიჰვლა-გაბრიელი თავისი მარწუხებით სულის ამოსაგლეჯათ. მამაგონდა ძველი და ახალი მიცვალებულები! ცხონებული მამაჩემი, დედაჩემი, დეიდაჩემი... შემა სიყვარულია ხომ ლიხარადკა დამაწყებინა შე შეითან შენა! ერთიც ვნახოთ რაღაცა შხეული შემომეშა. მერე დაიგრიალა თითქო შუადღის ზარბაზანი გავარდაო და სრაზემ შურდულივით წამოველით ძირს. თურმე გერმანწყი აეროპრალი დაგვცემია და მეკი არხეინათ ვიყავი. მოვდივარ ძირს. თვალები დავხუჭე, არ მინდა რაღა რომ ჩემ ნესხასტიას თვალით ვუყურო. ახოტნიკი კატასვით განაბული ვარ და ველოდები როდის ამამძერება სული. ერთიც ვნახოთ ტყაპანი მომძრა და ძირს და ისეთ ნაირათ დავასქდი მიწას, რომ „ვეყეო“ დამაძახებინა. ფილტვები და ჯიგარი სულ ამამგლიჯა და ენა დასიცხული კამბეჩივთ გადმომიგარდა გარეთ. ვყვირი: გოსპოდინ ლემენტ, ნი უბივი რაღა! ია უე ვაში სტარი მუშტარ მეთქი პომნიშ, ვი ნა ავლაბარ პივნიო იმედი და ია ვდენ ჩეთირე კვარტი პიყა ვიპივალ მეთქი! დავიწყე ბლავილი დასაკლავი ხარივით, შავაბრალე თავი და წამიყვანეს პლენში.

ეჭ, იაკანუშ, უნდა იცოდე თუ რა დღეში ვარ! ვდგევარ თუ ვზიგარ სულ შენ მაგონდები. შენი წერილი მივიღე და იწერებოდი რომა „ჩემი წერილი დაუქერია და ცენზორს არ გაუშეიაო“.

შე დალოცვილიშვილო, კაკ მოჟნა რაც ჩენ ჯეელობაში რამე სეკრეტები ჩაგვიდენია და არში-ყობა გაგვიწევია, შენ სულ წერილში გაგიქრელებია

არა, არც

გასამტყუნარი ხარ მე და ჩემმა ლერთმა. წელიწადნახევარია ქმარი თვალით არ გინახავს რაზემეიტსა რომ ლუბოვნი წერილს მამწერული. აიკანუშ, გენაცვლე სულის დიხანიაში. ვიცი რაღა რომ არშიყობის გუნდაზე ხარ და გინდა რომ ერთი ლაზათიანი კრეპკო სეკრეტინი წერილი მამწერო, მაგრამ ის ცენზური რომ არ გიშვებს! ნიჩავო, აიკანუშ, მალენკი ლუბოვნი პისმა მოჟნა პისატ. ლუშა მაია, თუ გინდა რომ არ დაიკარგოს და პრამათ მე მივიღო ასე მამწერე:


ტიფლისი და გრანიცა,  
ავსტრია-გერმანია,  
პროშუ ჰერედატ პისმო  
სალდატუ „ლეტანია“!  
კირაკოზუ მინასიჩ  
გერმანსკომუ პლენომუ,  
ცალუი კრასნი გუბი  
კუპწუ ავლაბარსკომუ.  
კადა ბუდიმ, უვიდიმ;  
დუშა მოი რაისკი,  
კადა ბუდიმ აბნიმატ  
სალავეი მაისკი!  
ცენზურ, პლენი ხომ იცი,  
უცოლოთ რა დღეშია,  
მაშ მიეცი ეს პისმა  
ჩემს კირაკოზს ხელშია.

აიკანუშ, გენაცვალე სერცებიენიაში თუ გინდა რომ წერილი არ დაიკარგოს აბეზატელნათ ასე დაწერე.

სხვა, დუშკა, ჩემი დარდი ნუ გექნება. ისე ვსუქდები, როგორც მაშკა ღორი. იმოტოლა კარტოფილი დავანელე რომ ვინ იცის მანგლისში ათ წელიწადსაც არ მოვიდეს იმდენი.

დასვიდანია, ცალურუ ტებია ი აჟიდაიუ პისმა. ტეორი ვსიაკი ვრემია ლუბლენი მუშ კირაკოზ.

გოგია.



მ ე რ ა ნ ი



## შიო მღვიმელი.


კვირას, 14 თებერვალს სხაზინო თეატრში იმპ-  
თება შიო მღვიმელის სადღესასწავლო დილა.

დარჩენილი ბილეთები სახაზ. თეატრის კასაში  
მოიკითხეთ.

ეშმაკი.

## მეორე გვერდი

## მესამე გვერდი



სოციალისტ ფედერალისტი. ის ქვეყნისათვის თავდადებული ხალხი! ბარაქილა თქვენს მხნეობას!

## გურული ენაკვიმატები.

გოგი დოლიძე.

ბევრს იქნებ კიდეც გაუკვირდეს დოლიძის აზნაურობა, მაგრამ ეს ასეა, გოგი აზნაური იყო, აზნაურობა თავისი ენა მახვილობით და მოხერხებულობით მიიღო. გოგი ბახველი იყო, ცხოვრობდა და გურიის მთავრის გურიელების მთავრობის დროს და მოქსწრო სხვა დროსაც.

გოგი ჩხავერს უჩინის.

ერთ წელიწადს, გურიაში განთქმული ჩხავერი ნაკლებათ მოვიდა და რაც მოვიდა იმის წვენსაც ნაკლები გამოსახალი დაუჩრა, რადგან „ჩხარკი“ დარჩა. (ჩხარკი—გამომშრალი, გამოფიტული). გოგი დოლიძემ მოჰკრიფა ჩხავერი, ჩხარკა საწანახელში ორი-სამი საწყავი წყალიც დაასხა ზედ და დაწნიხა. გამომხმარმა „ჩხარკა“ ჩხავერმა არამც თუ ლვინო არ მისცა გოგის, არამედ წყალიც შეიშრო. ამ დროს

სოც. ფედერალისტი. ის ეგრე! მადლობა ღმერთს ერთი ხალხის მოღალატით ნაკლები იქნება.

ოზურგეთში უკვე მოქმედებდა ახლად შემოდებული სასამართლო, რომელსაც გოგი აღმაცერად უყურებდა... გოგიმ მოშრიგებელ-მოსამართლესთან ჩხავერს ზარალი უჩინვა. მოსამართლეს ჩხავერი ვიღაცას გვარი ეგონა და საქმე გასარჩევად დანიშნა. საქმის გარჩევის დღეს გოგიმ მოსამართლეს შესჩინვა: „მის ლვინოს თუ არ მძღვედა, ჩემს დასხმულ წყალს რაღას მერჩოდაო“ და ითხოვა ჩხავერი დაესაჯათ და მისთვის ზარალი მიეწოდოთ.

გოგი და ლოთი.

გოგის ერთი ლოთი მეზობელი (მ. ჩ—ძ) ყავდა. გოგი ხშირად ამხილებდა, მაგრამ ის მაინც არ იშლიდა. ერთ, დღეს დილა იდრიან, გოგის დაინახა, რომ მისი მეზობელი, უკვე მთვრალი, ბარბაც ბარბაცით ყორეს მიყვება. გოგიმ დაუძახა: „ჯერ რა გიჭირს, მარა მერე რა გეშეელება შეგანიჭებულო მაგი ყორე რომ დეილევა, მერე ხად მიხეალო“.

### გოგი და ფირალები.

გოგი უკვე ღრმა მოხუცებული იყო. ამ დროს გურიაში ფირალები დათარეშობდენ. ფირალის შენახვისათვის მაზრის უფროსმა ბევრი გურული დასაჯა. სხვათა შორის მაზრის უფროსმა გოგი დაიბარა და უთხრა: შენ თურმე ფირალებს ინახავ და თუ არ დაიჭირავ და არ მომგვრი გადაგასახლებო. გოგი დამრუნდა სახლში. აკიდა დიდი გოდორი და დაიწყო ტყე-ტყე სიარული.

— რას ეძებო, ჰქითხეს გოგის.

— მაზრის უფროსმა მითხრა ფირალები იპოვნე და მომგვარეო, თუ ვიპოვნე ჩაესამ გოდორში და მივგვრიო.

— კი მარა ფირალი შინ გყავს და შენ ტყე-ში ეძებო?! მაგას ხომ არც ღმერთი გაპატივებს და არც მთავრობაო. უთხრეს გოგის.


— კი ვიცი მაგია ღმერთის კანონი. ღმერთი, დეილოცა მისი დიდება, მე მომკლავს, ფირალი კი რომ უდალატო ჩემს შეიღებს: ტარიელს, მელქისას, რაფიელს მომიკლავს, სახლ კარს დამიწვავს. მთავრობა კედევ თუ გადამასახლებს მთვარეზე ხომ არ გამაგზავნის, სხვა ქვეყანაში გამაგზავნის და დალატს კიდევ მავი მირჩევნიაო. მიუკო გოგიძ.

### გოგი და თავ. დიმ. გურიელი.

გოგის დროს ოზურგეთში ცხოვრობდა თავი. დიმიტრი გრიგორი. გურიელი ოზურგეთის მთავარ ქუჩაზე ცხოვრობდა და მისი მტკიცე ჩევეულების თანახმად გამვლელ-გამომვლელს ყველას სახელსა და გვარს ჰქითხავდა. ერთ დღეს გოგის სასამართლოში საქმე ჰქინდა, გურიელის მახლობლად ორი საათის განმავლობაში ორ-სამჯერ გაიარა. გურიელმაც ყოველთვის ჰქითხა ვინაობა. მეოთხე შეკითხვაზე გოგი შევიდა ერთი ნაცნობის ოჯახში, ჩამოილო კედლიდან ხატი, მიიტანა ჰქიუზე მწყრალ ცნობის მოყვარე ფეოდალთან და დაუფიცა:

— ამის მადლმა და ძალმა კისერი მომტეხოს თუ მე ნამდვილი გოგი დოლიძე არ ვიყო.

აფ-უია.



### გურული სცენა.

#### გიგო და გიტო.

გიგო. — აა, გიტოსა წყალობა ღვთისა, აბა, რას გვეტყვი ამბავს ფოთისა?

გიტო. რა გითხრა, გზები გასაოცია, ცოცხალი რომ ვარ მოსალოცია!! ეს დელექნები თან და თან ხთება იმათ ფანჯრებში დათვი გახტება შიგ „პოსაურებს“ უთვლელათ ყრიან, დიდ ტალახებში ძირს ჩამოგყრიან...

გიგო. ასეა, ძმაო, გზები ყველგანა. უპატრონოა ჩვენი ქვეყანა.

ვის ვენალვლებით, გაუჩნდათ ჭირი, სხვა, რაა ფოთში იაფი, ძეირი?

გიტო. იაფი არის თუ რამეს ყიდი, ცეცხლი ენთება შენ რომ იყიდი. გსურს რამე სჭამო? მიეც რაც უნდა... სად იშვეგბა აბაზის ხურდა?

გიგო. კოოპერატივს უდგია სული?

გიტო. გაგინათლდება რომ ნახო გული, გამგეობაცა მუშაობს კარგა მწარმებლებიც ვარგა და ვარგა.

გიგო. კიდევ რა იცი, რას იტყვი სხვაზე ევანგელოცეს, ან ქალაქის თავზე...

გიტო. ვით მე არ ვარგვარ დერენალათა, არც ტყემალაძე ფოთის თავათა.

დახტის უპრავის შეაფიდან-შეაფში, ხალხი სულს ღაფავს სიბნელე-ლაფში, ასეთ წვილმანსა თავს რათ დაუდებს... მსხილმანებს, მეონი, ვერას გაუგებს. სამაგიეროთ ყოჩადათ ხედება თუ კი გაფიცა საღმე მოხდება.

ახლაც ეკვეთა ფარმაცევტებსა, ცხეირის დავამტვრევ ტუტუც ცეტებსა, მაგრამ ხმისნები აღუდენ წინა... მერჩე პროფიზორს წაეპოტინა, პოლიციასაც კი წარუდგინა რომ დააცლიონ მაგ თხეხებს ბინა. ევანგელოციც მისია კუდი...

გიტო. რა ჰქინა მიშასთან რომ ქონდა სული?

გიგო. რას უქდა მიშა, ლროი ცუდია, თვით მასწავლებლათ არსო სულია

და ეს კი მისი დირექტორია,  
ამაზედ ხალხში ბევრი ჭორია...  
გითო. პო, მიყხვდი მიყხდი, ნუ ამბობ, კმარა,  
რალაი, ძმაო, ფოთი წმხდარა...  
კაპარჭინაზე რა ამბეგია?  
გიგო. უფერულათ გვყას მექარნებია:  
სერვი, ერასტო, აპოლონია  
კარგბს ვერ აღებს შიშით მღონია,  
შანტაჟისტები გადაჭივიან  
თითქოს ფულები ტომრით ჰყილიან.  
სთხოვენ და სთხოვენ წერილებითა  
გავსილა ფოთი მაგ წუწყებითა.  
აბა გიორგის რა კითხვა უნდა  
ზაფაზებისა ჰყილია გულა.  
ათას ჭახრაუში სწურავს და გამყავს  
და აბა მისგან ხეირს ვინ ნახავს.  
ბეჭუკ ვარგოდა, მანც დადგა ზავი,  
რა ქნას სიბერე არის, ძმავ, ავი.  
ესეფ ცუცქმუტობს, თითქო სულ ჩქარის  
ერთ ღონიერე კი არის და არის.  
მოსე კი დახტის, როგორც რომ ხელი  
ოცი დაგბირდეს ერთსაც ნუ ელი.  
ბრტყელ-ბრტყელ საუბრობს თედო ხელია  
გაუმსო შეშამ საფეხულია.  
ერმალოს საქმეც მიღილო კარგა  
ის საზოგადო საქმეშიც ვარგა.  
ფარულავა კი, ვაჭრათ ნაღლია  
მართალი რომ ვსთქვა ცუდ გზას ადგია...  
საქმე გაქ მასთან უცდი და ელი  
მეკილიონ ნუ ფიქრობ ხელი.  
ეს „დრონი მეფობს“ ბრძენთაგან თქმულა  
თუმცა ასეა ჩემო გიტულა,  
მაგათზე ბევრი ითქმის და თქმულა  
ნახვამდის ძმაო დროს ვერგავთ ტყულა.  
შხანკოლა.



ଲେଖକ ଶ୍ରୀ

ნაოლალეგი. გუშინ ადგილობრივ სამეცნიერო-ლოში წყალ-ქვეშა ნავი კინაღამ აღმოაჩინეს. საქ-მე მშენიდლობიანათ გათვალისწინებული მანქანი უზრიგო მაინც არ იქნება სამეცნიერო უზნობის სახურავს ჟერა-კეთებზენ, რომ წვემისაგან შეიგ ტბა არ დადგეს. მაშინ ველარც ნავი შემოიპარება.

ხობი. ცნობილი ივანე უკვე გამაგრდა დაბის ყველა ფურნეში და იქიდან ესკრის საზოგადოებას კომსა და კუპის ამშლელ ყუმბარებს. ხალხი აღლუ-ვებულია. მოქმედობს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორი ფურნეფორტი. დანარჩენი ჩაჩუმებულია.

ონი. ოდგილობრივი ვაჭრები ქველაფერს ისე  
სწრაფად უმატებენ ფასს, როგორც ლუკა მეტ-  
რეველი მამასახლისისაბის დროს ბეჭდის ფულს. ვი-  
საც საშუალება აქვს ვუჩრებეთ საყიდი დილითვე  
იყიდონ, რაღაც საღამოზე ფასი ორი წილი იქნე-  
ბა, ხოლო ვინც ვაჭრობას მეორე დღისათვის გა-  
დასდებს იგი პირდაპირ დალუპვის გზაზე აყენებს  
ოჯახს.

იქნდანვე. როგორც იქნა მოისვენეს ადგი-  
ლობრივმა ძალებმა, ვინაიდან ხორცის საჩები  
ჯირკები გადაპირქვავეს და სახრაფ-ჩუბარი აღარა-  
თვირთ აქვთ.

**ჭრებალო.** სოფ. კუვიშში ღვინის ფასმა სა-  
გრძნობლათ დაიწია. მიზეზათ ერთ-ერთი პედაგო-  
გის გადაყვანას ასახელებინ.

ჭრებალოს საგითხველოში ვიღაც ბოროტ-  
მოქმედებს სულ-შემხუთავი გაზი დაუყენებიათ. ალ-  
ბათ ამით აიხსნება, რომ იქ უურნალ-გაზეთები ვერ  
იკდიან.

დიდი მაღლობის ღირსნი არიან ჭრებალოს  
ფოსტის მოხელენი. ომელი წერილსაც შეატყო-  
ბენ ნოტიოს სუნი აქვს, სსნიან, აშრობენ და ისე  
უბრუნებენ პატრონებს.

૭૦—ગૃહ. \*)

კაცხი. ქ-ნ მასწავლებლის მდივნობით და ერთი „მამული შვილის“ თავტჯდომარეობით გაიმართა ფარული კრება. კრების მიზანია გამოარკვიოს

\*) სამწუხაროთ თქვენ სხვისი ფსევდონიმი მოგიწერიათ.

„თანამედროვე აზრის“ კაცხელი კორესპონდენტის გინათბა.

ჩ—

იქიდანვე. საკრედიტო ამხანაგობის წესდების ერთი მუხლი აუჯანყდა ბ. ბრეგვაძეს და მოითხოვს იმის ამხანაგობიდან გაძევებას. ბრეგვაძე დიდათ შეუშფოთებია ამ გარეობას და აჯანყებულთა წინაღმდეგ მიუშართავს „სულ-შემხუთავი“ ლანძღვა-გა-გინებისათვის. იქნება მათრახის კულტა დამშენებოს. კონკრეტული გადახმა მოხელოს ავათმყოფს

ზახორშა

რატომ გადავწევიტე პრაპორჩიკობა.

(უძლვნი ხონელ ბარიშებს)

რაც რომ პრაპორჩიკობა შემოვიდა, მას შემდეგ ხონელ ბარიშებს დიდი გამოცოცხლება დაეტყო. არშიყობაში მართალია უძველესი დროიდან ნაქები იყვნენ, მარა ახლა მაინც ყოველივე მოლოდინს გადააჭარბეს. იმისთანა კომპლიმენტებს ისვრიან რომ, გერმანცები სისტემის ივტომობილი გინდა გაექცე და არ ემსხვერპლო. იმ ჩემინაზისტები ხომ ნაქები იყვნენ არშიყობაში, მარა, რაც რომ პრაპორჩიკობა შემოვიდა მას მერე მათი კურსი საგრძნობლად დაეცა და ალბათ ამით აიხსნება ის მოვლენაც, რომ ბევრი მათგანი პრაპორჩიკობის სურვილმა გაიტაცა და დღე-ნიადაგ იმაზე იცნებობენ.

ერთ საღამოს ბაღში გაისერინე. ჩემდა საუბედუროთ ერთ „ინტელიგენტნაია ბარიშნას“ გადავეყარე და გავიცანი. მე საერთოთ მომწონს „ინტელიგენტნაია ბარიშნა“ და ინტელიგენტური ლაპარაკი. დაუწყე მუსაიფი ცოცხალი ინტერნაციონალის შესახებ:

„სხიარულით მევსება გული, როდესაც ვკითხულობ, რომ ინტერნაციონალი არ მომკვდარა“

„ანტონეს ნაცოლავი ახლა კი არა რახანია მოკვდაო!..“

უკაცრავათ, თქვენ ალბათ ვერ გაიგონეთ, მე ინტერნაციონალზე ვლაპარაკობ... მეთქი.

მტერს იმისთანე შენს სანდროს იმან ჭაპეილა.

„შენ, ჩემთ ძმაო, ვიღაცა ხარ მუეკი ყოფილ-ხარ, რას იგინები, „პოშლა სობაქა ბეზ ხელსტ“-თ და შემაქია ზურგი. ვიტქუცე თავში ხელი, მოვტაუებულვარ და ისაა მეთქი. ამასობაში წინ ვიღაც

პრაპორშიკი შეგვეჩევეფა თვისი ყვითელი აპოლეტებია, გაუქან-გამოუქანა კუდი და ქე არ გააცნო თავი!

— ბუდემ ზნაკომი იულიაო—უოხრა, გამოსდეუა კლავი-კლავში და მოჰკურცხლა. გავშტრერდი კეკალი კაცი. ვთქვი: აქანე ინტელიგენტნობა კიარა პრაპორშინიკნობა ყოფილი მეთქი. ჩავლუნე თავი და გამოვიჭეც სახლისაკენ, მას შემდეგ ვეძებ მასწავლებელს. მინდა იმ სკოლისათვის მოვემზადო. ბევრი არაფერი მაკლია,

ვინა ხართ მადლიანი!


გურული ბიჭი.

## ბოსლობა რაჭაში.

— ერთობის შემდეგ გემო აღარაფერისთვის ჩამიტნევია და სიმართლე რომ სთქვას ქვეც აღარაფერი შემრჩენია! ვდეგე და ვუთხარი ჩემს დედა-კაცს, „ისევ ძელ წეს-ჩვეულებას ნუ დავაგდებთ ბერა, მოამზადე რამე, მეც დავიძახებ „ბოსელ-ბოსელ“-თქვა. „კარგიო“, მითხრა, ეშოვნა საცხა კაი ყველი და ისეთი მსუქანი ხაჭაპური გამოეცხო, რომ მისი გულისითვის ბოსელში კი არა, ქუთეისს წევილოდ. სამი კვერცხი მოეხარშა, მაგრამ რათ მინდოდა? კვერცხს ხარებს წაუსვამენ ზურგზე: „ასე გარგალდიო“. მე კი ხარი არა, თვალგაპობილი აღარაფერი გამაჩნია. როცა ბოსელში მიღიან, ზურგზე ბოვშების მოკიდება იყიან... მე ბოვში ქვე ვინდა მამუა! ერთი შვილი მყავდა და ისიც ფშიონებმა დამიკარგეს. ბოვშის მაგიერათ სკამი წამოვიდე, სანათური აეანთე, ცხელი ხაჭაპური გულზე მივიხურე და გავსწიო ბოსლის კენ. ჩემი ბოსლის ამბავს არ იყითხავთ? იგი ძლიერს გადავარჩინე 1906 წლის ცეცხლს. მიღდივარ და მიგიძახი: „ბოსელ-ბოსელ-ბუს“, მარა გული მიკვდება, ფეხები უკანა მრჩება, რადგან ვიცი „ბოსელში აღარაფერია“. აღარ მაძლევს იქიდან პასუხს ჩემი ნიკორა, რომელიც ატუკანტის ვალში გავყიდე. რაღა შემაქმევდა მე უბედურს იმ ხაჭაპურს! გულ დაწყვეტილი სახლში გამოვბრუნდი, მარა აქ დედა-კაცმა კარები აღარ გამიღო. ვიფუქრე: „ღმერთო! შეგცოდე და ქვე ხომ არავინ შემენაცვლა ამ ბებერ-

თანა თქვა". შენც იცი, ეშმაკო, რომ როცა კაცი ბევრნაირ უბედურებას გამოცდის, ყველაფერზე გული გაუტყდება. — „კარი გამიღე“ მეთქი შევძახე. მარა ცოლმა შიგნიდან ძველებურათ დაძახება მთხოვა. ამან კიდე უჯრო ეჭვში შემიყავანა ვიფუქტრე: „ვაი თუ ძველებურ გაჭიანურებულ შეძახილ-გამოძახილში იმან თავისი ქნას თქვა. მარა მეტი რა გზა მქონდა, რადგან შინ აღარ შემიშვა, მეც მოვყევი.

- კარი რკინისა!
  - „არა მეუფისაო“ გამამძახა ქალმა.
  - ქვე ვინა ხარო! მეც მოვყევი, რაც რიგია: ქვე მე ვარ შენი ბერუკაი,  
ლმერთმა მოგცეს ბევრი კაი,  
ქვე ბევრი ჩურჩხალები,  
მასთან ტკბილი კვერუკაი,  
სტარშინას გძელი ულფაში  
და იმისი წვერუკაი,  
ლვინო ისე მოგდიოდეს  
როგორც რომ ჩვენი რიონი,  
აგშორდეს დანუსჩიკები,  
ჯანშუში და ფშიონი!
  - ხარებმა რა შემოთვალეს?
  - სახნელები დაამზადეთ ჩვენ მზათ ვართოთ.
  - ძროხებმა?
  - საწველები დაამზადეთ ჩვენ მზათ ვართო.  
— ქალებმა?
  - აკვენები დაამზადეთ ჩვენ მზათ ვართო და სხვა...
  - ამების შემდეგ როგორც იყო გამოიღო კარები და მეც შევეღი სახლში თვალების ბეცებით...  
იქ სხვა არავინ იყო და ჩემი ეპვებიც გაიფანტა.
- ჩაჩიკა.



## ვ მ თ ი.

ჩონჩხი ამაღლობელის ლექციისა.

გრძელდება ომი, არ ხდება ზავი,  
არც კი ემჩნევა ბოლო და თავი,  
ინტერ-ნაციამ იცვალა ფერი  
ჩამოყალიბდა ყოველი ერი.  
ჩვენ ქართველ ერსაც დაგვიდგა ხანა  
მწუხარე გული რომ მოგვეფხანა.  
მე მივხედი ზრახებს ერის გულისა,  
გაეხდი მალამო მათი წყლულისა.  
სოფელ ქალაქიდ კარიდან კარად  
დავდივარ ოფლი\*) ჩამომდის ღვარად  
ვაცხადებ: მარქსი გაკოტრდა სრულად  
ჟორდანიასაც ტყავს ვაძრობ მტრულად.  
ერმა შვა ბურჯათ კიტა და თედო  
აწ განიხერე ივერთა ბედო!!!  
მაშ გაუმარჯოს ფედერაციას  
იგი მოუვლის ქართველ ნაციას,  
ძირს დასელები—დემოკრატია,  
რადგან თევლორემ იგი დატა“.  
(ი) ის სიბრძნე მშევრ-მეტყველობა  
რომლისაც „ლექტორს“ მისცეს ხელობა).

\*) თვეული სირცესჭირის ნურჯის გრძანა,  
„ლექტორს“ აშგვინი არც კი ჭიჭნია,  
სჩანს სტამენდა — საქანქრე ბინა,  
დასეჭაბს რამე თუ არ „აწებინა“  
„მუქთად“ არავის არ ეძღვება. კ  
ნიჭის მიხედვით არ გასჭავთ ნება,  
მდებარეობაც აფერ-შეაშია,  
საქმე „ერთვულება“ კიდე სმიშია  
და განც გაიტანს ბოლომდე ლელოს  
ნაღდათ მიიღებს სრულ გასამრჯელოს.

ბურუნა

## სიზმრის ახსნა.

(ბათუმისათვეის)

თებერვლის სიზმარი ამავე თვის ოცდათამდე  
ახდება.

ქალაქის თავი ნახო — კარგია, რუსეთის გე-  
ოგრაფიას პრაქტიკულად შეისწავლი.  
თვითმართველობის წევრები ნახო — კარგია

ყოველგვარ სანოვაგეზე ნიხრი გაუქმდეს, ვაჭრებს  
მიენიჭოს სრული ავტონომია.

**ინჟენერი ნემანოვი ნახო—ცუდია, გასესხე-**  
**ბული თუ რამ გექნეს ვეღარ აიღო.**

**შინა მასხარაშვილი ნახო—ცუდია, ვინმე ქუ**  
ჩის ტაკი-მასხარამ მოგატყუილოს, წაგიყვანოს უც-  
ხო მხარეს და ულუკმაპუროდ მიგატოვოს უწინ-  
ბებ შორის.

**შსხვილი ანუ წვრილი მოიჯარადო ნახო—**  
მეტად ცუდია, ელოდი დიდს ზნეობრივ მეტამორ-  
ფოზას სირცეზილ ნამუსს და სინდისს სამუდამოთ  
გამოეთხოვები.

**შუშა ნახო—**კარგია, ზედ მიწევნით შეის-  
წავლი კარტის და კამათლის თამაშს.

**მიკიდანი (ანუ ექს მიკიტანი) ნახო—**ღვინო  
ნარევი წყალი იგემო.

**ტყავის გაჭარი ნახო—**მეტად ცუდია, სიზ-  
მარი ესე ახდების მეცხრე დღეს, ელოდე ცხრა  
წილი ტყავის გაძრობას.

**ნოქარი ნახო—**ვერავერი სანუგეშოა, შეგიპ-  
ყროს საშინელმა მუონარეობამ, დაკარგო ყოვე-  
ლივე საქმიანობის უნარი და ხალისი გარდა კარ-  
ტის თამაშისა.

**ბ—ი ჩინკვაძე ნახო—**კარგია ჯოჯოხეთიდან  
განთავისუფლდე. (რასაკვირველია სიკვდილის შემ-  
დევ).

**მღვ. ჩინკვაძე ნახო—**???

**სერგო უუფარაძე ნახო—**გაზ. „თან. აზრი“  
სანთლით საძენელი გაგიძლეს.

**ყასპები ნახო—**ცუდია, სჯობს მეორე დღეს  
თავი დაიზღვიო (დაისტრახო) თორემ მკვდარი კა-  
მების ხორცია მოგექმას.

**შეპურე ნახო—**კარგია, პურის ცოში („გამომ-  
ცხვარი“) გაიაფებს, ნ კაპეიკიდან 7 კაპეიკამდის  
დაიშიოს ფასში.

კ—ხი.



## გამოცანა.

(ქართულებისათვის)

ფერად შავგრემანი,  
ტანად დაბალია,  
თავს ხურავს მისფერი  
ქუდი მაღალია.

წარმოდგენა დიდი  
აქვს თავის თავზედა...  
მეტად იბუზება  
წითელ მამალზედა.

სასაცილოდ იღებს,  
ვისაც დაინახავს,  
მეხი დავაყარე  
მაზედ უფრო გლახას!

პირში გეფერება,  
ისე კი სხვას ფიქრობს,  
თუ დაგიხელია  
ანგელოზს დაგიფრთხობს.

ჩვენს საერთო დუქანს  
ვითომ თანაუგრძნობს,  
ხალხში მის წინაღმდეგ  
ბნელ საქმეს განაგრძობს.

ფიქრს მის სავაგლახოს  
არ იშორებს თავში,  
ვაჲ, თუ ჩაუვარდეს  
მას კოვზი ნაცარში.

ქრთამების საქმეებს  
მას დუქანში ჩარხავს,  
ტყვილა არ გეგონოთ:  
ისიც ხეირს ხეირს ნახავს.

დროა, მგონი, იცნოთ  
გაიძვერა, ფლიდი,  
საშიში კაცია,  
ერთობ მოსარიდი.

ზახრუშა.

## ԱՆԱՀՈՐ ՏԱԿԵԼՈՒՑՈ

ჩვენი დაბა-ქალაქებისა, გამოვლინები გაზ. „სა-ქართველოს“ მიერ.

გაზეთი წინადაღებას იძლევა ჩვენს დაბა-ქალაც  
ქებს ასე გუშოლოთ:

საქართველოთი, ტფილისეთი, ავჭალეთი, მცხე-  
თეთი, ქანეთი, კასპეთი, გრაკალეთი, ქარელეთი,  
გომეთი, შეტეხეთი, ხაშურეთი, სურამეთი, სუშბა-  
თოვოვეთი, ბორჯომეთი, ახალციხეთი, ახალქალა-  
ქეთი, აბასთუმანეთი, ზესააფონეთე, რიონეთი, ქუ-  
თაისეთი, ხონეთი, სენაკეთი, ბამუშეთი, აჭარეთი,  
ფოთეთი, გურიეთი, შეგრძლელი, სუხშეთი, და  
გაზ. „საქართველოში“ გამეფდა უკუმეტი.



„ეშმიგის მათრახის“ რედაქტორი ამით აცხადებს,  
რომ უსახელო აფტორებისა და უცნობ პირთა  
წერილები ეურნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ვინაბებს და  
წერილში აღნიშნულ ამბის სისტორქს უნდა ამოწ-  
მებდეს ვინე რეაქტივისათვის სანოო პირი.

სარედაქტოი წერილი უნდა დაიწეროს ქა-  
ლალდის ცალ გვერდზე და კოველ აღნუსხულ ამ-  
ბაეს თან ახლოდეს საჭირო ასსნა-განმარტიბა.

რომ სარეგაქციო წერილი რეგულაზიში მოსკლამდე არ გახსნან, საჭიროა კონვენტზე აღრესის შემთხვევაში დაწეროს: „მშპაკის მაორაბისათვის“.

უმარკო წერილებს რედაქტირ არ იხსნის და  
დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

ଅମ. ଓତ-କୁ. „ଦ୍ୱାରା କ୍ଷେତ୍ରରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା...  
ତୁମି ଶୀଘ୍ରରେ, ଯୁଦ୍ଧରେ ଏବଂ କିମ୍ବା...  
ଦ୍ୱାରା କ୍ଷେତ୍ରରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା...  
ଶୀଘ୍ରରେ କିମ୍ବା...“.

გასაკვირი და საგაზიეთო აქ არაფერია. „ტან-შიშველა“ კაცი ვის არ გააგიუებს, მაგრამ ცხადია იმ ახირებულ ყმაწვილს შურის ძიების გრძნობა ამოქმედია.

განა ორ მოგხსენდებათ „ტან-შიშველა“ ქალს  
რამდენი ჸაბური გათვალისწინა”.

საცოლოს. „წემი დექსი ის დექსია,  
რომელიც რომ მზის დექსია,  
დამეს გვეთს და წევდიაღს კაფაგს  
როცა ბუნბუნა სტესა დათხას.

ასეთი ლექსით რომ ცოლის შოგნა შეიძლება, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყევდა.

— ନୀତିମଧ୍ୟ?

— აი რატომ. საქართველოში უტყურის  
ცნობებით ორ მილიონ ნახევარი პოვტია. ესენი  
ყველანი ცოლიანი იქნებოდნენ. ერთი მხრით ქარ-  
თველი ხალხი გამრავლდებოდა, ხოლო მეორე  
მხრით წერილი შეიღები მგოლნებს ლექსების წე-  
რაში ხელს შეუშლიდენ და ჩვენი რედაქცია მოს-  
ვენებით ამოისუნთქმა.

გალიორეას. აქ რაღაც გაუგებრობა უნდა  
იყოს. არ იბეჭდება.

## ଓର୍ବଲୀ ହେତୁକର୍ମବୋବା.

„ეშმ. მათრახის“ მე პ-ე № ში მოთავსებულია დეპეშა სოფელ ხიდისთავილან, მ-ფ-ე-ს ფსველონიმით. ხსენებული დეპეშის აკტორი სრულიად შეუფერებლათ და დაუმსახურებლათ მეტება მე მასწავლებლის ჯამაგირების კითხვაში და მათი (მასწავლებლების) ფულების „გაღახარჯვას“ მაბრალებს. რომ ფაქტიური მხარე გამოიკვეს და უსაბუთო ბრალდებით ვინჩე შეცოოშაში არ შევიდეს ამიტომ მოვითხოვ ხსენებული დეპეშის აკტორი გამომყევს სამედიატორო სასამართლოში რომლის განაჩენი უნდა გამოცხადდეს აუცილებლათ გაზეთში. ვადას ვაძლევ დღიდან გამოცხადებისა თუ კირას.


ბასლეთის მამასახლისი გიორგი კალანდაძე.

„ეშმაკის მათრახის“ ხელის-  
მომწერთა საყურადღებოთ:

ვთხოვთ ხელის მომწერლებს უსრნალის ფული  
ვისაც არ გადაუხდია აღრე გამოყზავნონ, წინააღმ-  
დევ შემთხვევაში „ეშმ. მათრახის“ გზავნა შეუწყ-  
რებათ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი აღრესით:  
Тифлисъ, Ольгинская № 6, С. Таварткиладзе.

## ოოკორ ესმით ბავშვებს დიდების ლაპარაკი



პატარა ტიტო. აი, თურმე რატომ ამბობს დელა: შამაშ მშვენიერი მსახური დაიჭირაო.